პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2024 წლის _____ აპრილი ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმში, კახაბრის ქ. N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე 05.31.07.646; 05.31.07.728; 05.31.07.740; 05.31.07.647 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 41-ე და 43-ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ქალაქ ბათუმში, კახაბრის ქუჩა N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ-05.31.07.646; 05.31.07.728; 05.31.07.740; 05.31.07.647) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმა, თანახმად დანართისა.

მუხლი 2

კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე (ს/კN 05.31.07.646; 05.31.07.728; 05.31.07.740; 05.31.07.647) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) კ 1/2 მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

მუხლი 3

განემარტოს შპს ,,ბათუმის სამედიცინო ცენტრს'' (ს/N248384234), რომ იგი ვალდებულია არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე წარმოადგინოს სრულყოფილი დენდროლოგიური დასკვნა და სატრანსპორტო სქემა.

მუხლი 4

განემარტოს შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრს'' (ს/N248384234), რომ იგი ვალდებულია საპროექტო ობიექტის სიმაღლის განსაზღვრა განახორციელოს სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან'' შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, კახაბრის ქ. N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე 05.31.07.646; 05.31.07.728; 05.31.07.740; 05.31.07.647 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმში, კახაბრის ქ. N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე 05.31.07.646; 05.31.07.728; 05.31.07.740; 05.31.07.647 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ დადგენილების მიღება.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრმა" და მოითხოვა ქალაქ ბათუმში, კახაბრის ქ. N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე 05.31.07.646; 05.31.07.728; 05.31.07.740; 05.31.07.647 განაშენებიანების დეტალური გეგმის დამტკიცება. დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. კ2 კოეფიციენტის გაზრდა ხდება 13,0-მდე; გეგმარებითი ერთეული მოიცავს 4 მიწის ნაკვეთს და მისი ფართობი შეადგენს 26 500 კვ.მ-ს. საპროექტო შენობის მაქსიმალური სიმაღლე 133 მეტრი. სულ ჯამში საპარკინგე ადგილების რაოდენობა შეადგენს 700 ერთეულს.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გიორგი წანაწყენიშვილი**